საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №1
2014 წლის 16 იანვარი

ქ. თბილისი

„მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №158 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებით ნორმატიული აქტის (ნორმატიული აქტის პროექტის) შედგენის, მიღების (გამოცემის), გაგზავნის, აღრიცხვის, სისტემატიზაციისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №158 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 040150000.22.027.016225, 29/12/2011) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების №3 დანართის 28-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი	038“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2014 წლის 26 იანვრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**